პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 218 (4988)

1973 წ.
4 ნოემბერი, კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ტელეტაიპი

მეხიკო. პან[illegible] პიონატში მოასპარეზე[illegible]ლმა ტყვიის [illegible] მსოფლიო რეკორდები დაამყარეს: პირად ჩათვლაში ლ. უიგერმა საბრძოლო ნებისმიერი შაშხანით სამი მდგომარეობიდან შეჯიბრებაში 1166 ქულა დააგროვა, ამავე სახეობის იარაღით გუნდურ ასპარეზობაში კი მსოფლიო რეკორდი ამიერიდან 4656 ქულას უდრის.

სროლა

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და ჩილის ნაკრებ გუნდებს შორის დანიშნულია 1973 წლის 21 ნოემბერს სანტიაგოში (ჩილი).

როგორც ცნობილია, ფაშისტური გადატრიალებისა და სახალხო ერთობის კანონიერი მთავრობის დამხობის შედეგად ჩილიში ამჟამად გამეფებულია სისხლიანი ტერორი და რეპრესიები, გაუქმებულია კონსტიტუციური გარანტიები, გაჩაღებულია თავაშვებული პროვოკაციული კამპანია სოციალისტური ქვეყნებისა და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, გზა გაეხსნა ანტისაბჭოთა განწყობილებებს, დაშვებულია თვითნებობისა და ძალადობის ფაქტები ჩილიში მყოფ საბჭოთა მოქალაქეთა მიმართ.

ეროვნული სტადიონი, სადაც საფეხბურთო მატჩის ჩატარებაა განზრახული, სამხედრო ხუნტამ საკონცენტრაციო ბანაკად, ჩილიელ პატრიოტთა წამებისა და სიკვდილით დასჯის ადგილად აქცია. სტადიონის ტრიბუნებზე და შენობებში გამომწყვდეული ჰყავთ ათასობით უდანაშაულო ადამიანი. სტადიონ-საპყრობილის ტყვეთა შორის არის ბევრი უცხოელიც, მათ შორის კუბელი მწვრთნელები, რომლებიც ჩილიში ამ ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციათა მიწვევით ჩავიდნენ.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას მიმართა წინადადებით ზემოაღნიშნული მატჩი ჩაეტარებინა რომელიმე მესამე ქვეყანაში, ვინაიდან ჩილიელ პატრიოტთა სისხლით მორწყულ სტადიონზე საბჭოთა სპორტსმენები მორალური მოსაზრებებით ვერ გამოვლენ.

მაგრამ ფიფა-მ არად ჩააგდო მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი არნახული დანაშაული, რასაც სამხედრო ხუნტა ჩილიში სჩადის, და ამ ქვეყნის თვითმარქვია თავდაცვის მინისტრის ნათქვამის საფუძველზე გამოაცხადა, რომ სანტიაგოში შესარჩევი მატჩის ჩატარებისთვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობს.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია საბჭოთა სპორტსმენთა სახელით გადაჭრით პროტესტს გამოთქვამს და აცხადებს, რომ შექმნილ ვითარებაში, როცა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია, ჯანსაღი ადამიანური აზრის საწინააღმდეგოდ, ჩილის რეაქციას დაჰყვა, იგი იძულებულია უარი თქვას ჩილის ტერიტორიაზე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის თამაშზე და ამისთვის მთელს პასუხისმგებლობას ფიფა-ს ხელმძღვანელობას აკისრებს.

ამავე დროს, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია კვლავ აცხადებს, რომ მზადაა ჩილიელ ფეხბურთელებთან შესარჩევი მატჩის სათამაშოდ მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე, თუ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია თავის გადაწყვეტილებას გადასინჯავს.

0,15 ქულით ჩამორჩა

უფა, 2 ნოემბერი. ადგილობრივ სპორტის სასახლეში დიდ ინტერესს იწვევს სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი ტანვარჯიშულ მრავალჭიდში. დღეს ფიცარნაგზე გამოვიდნენ ქალები, რომლებიც სავალდებულო პროგრამით ასპარეზობდნენ. მწვავე ბრძოლის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო გუნდურ ჩათვლაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ე. სააღიმ (ტაშკენტი) — 37,55 ქულა. მას 0,15 ქულით ჩამორჩა სსრ კავშირის ნაკრების წევრი, ბათუმელი რ. სიხარულიძე. III ადგილზეა რიგელი ტ. მჩედლოვა — 37,35 ქულა.

წინადღით ვაჟთა სავალდებულო პროგრამის შემდეგ პირად შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონი ნ. ანდრიანოვი (ვლადიმირი) — 55,9 ქულა.

სამი ტურის ჯამში

სოხუმში ოთხ დღეს გაგრძელდა სსრ კავშირის პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ჩემპიონატის მესამე ტური საგზატკეცილო ველოსპორტში. ამ დიდ ფორუმში მონაწილეობდა პროფკავშირთა თითქმის ყველა სპორტსაზოგადოების 18 ნაკრები, აგრეთვე, ფინელ ველოსიპედისტთა გუნდი კლუბ „ტულ“-იდან.

შეჯიბრება საზეიმოდ გაიხსნა ლენინის მოედანზე. მონაწილეებს მიესალმა აფხაზეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ჯ. გუბაზი.

ასპარეზობა გუნდური რბოლით დაიწყო. შეჯიბრებამ სტარტი აიღო კოდორთან, ოჩამჩირის რაიონში. ქალთა გუნდებს შორის, რომლებიც 20 კმ-ზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ყველას აჯობა „ზენიტმა“ — 29.40. იუნიორთა კოლექტივებს შორის, რომლებიც 50 კმ-ზე ასპარეზობდნენ, გაიმარჯვა სასოფლო სპორტსაზოგადოებათა ნაკრებმა — 1:05.45. ვაჟთა რბოლა 75 კმ-ზე მოიგო სოფლის სპორტსმენთა გუნდმა.

შემდეგ ჩატარდა ინდივიდუალური შეჯიბრებები: ქალებისთვის — 15, იუნიორებისთვის — 20, ვაჟებისთვის — 25 კმ-ზე. შესაბამისად გაიმარჯვეს სპორტის ოსტატებმა ლ. კოჟევნიკოვამ („ზენიტი“) — 22.15,2, ვ. ვაზულისმა (სასოფლო სპორტსაზოგადოებათა ნაკრები) — 27.28,4, და ნ. რაზუმენკომ („ავანგარდი“) — 33.56,5.

ჩემპიონატის დასკვნითს დღეს მოეწყო ჯგუფური ველორბოლა. ქალთა შორის 40 კმ-ზე შეჯიბრება მოიგო ნ. ტროფიმოვამ — 1:06.25. 72 კმ-ზე მოასპარეზე იუნიორებში პირველი იყო „კალევის“ წარმომადგენელი ტ. ვილაამია — 1:46.46. ვაჟთა 112-კილომეტრიან რბოლაში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ვ. ჩაპლიგინმა („სპარტაკი“) — 2:48.14.

სამი ტურის ჯამში (პირველი ტური ჩატარდა ლიტვის ქალაქ პანევეჟისში, მეორე — მოგილიოვში) ინდივიდუალურ რბოლებში გაიმარჯვეს: ლ. მარკელოვამ (ქალებში), სპარტაკელმა ა. პლიუშკინმა (იუნიორებში) და ავანგარდელმა ვ. ჩერევკომ (ვაჟებში). ჯგუფურ რბოლებში წარმატებას მიაღწიეს: ლ. მარკელოვამ, „მოლდოვის“ გუნდის წევრმა ვ. ლესკომ (იუნიორებში) და „კრასნოე ზნამიას“ წარმომადგენელმა მ. ზორინმა (ვაჟებში).

გუნდურ ჩათვლაში ქალთა შორის I ადგილზეა „სპარტაკი“, იუნიორებში — „მოლდოვა“, ვაჟებში — სასოფლო სპორტსაზოგადოებათა ნაკრები.

გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადაეცათ საჩუქრები და დიპლომები.

ვ. სემიონოვი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

სურათებზე: შეჯიბრება სოხუმის ქუჩებში; ლ. მარკელოვა.

თასი საბჭოთა გუნდმა მოიგო

სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები, რომელმაც ურუგვაიში გამართულ მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაში მთავარი პრიზი — ნახევარმეტრიანი ვერცხლის ამფორა მოიპოვა, მოსკოვში დაბრუნდა. საბჭოთა სპორტსმენებმა ოთხი მატჩი მოიგეს ჯგუფურ ტურნირში, გაიმარჯვეს ნახევარფინალსა და ფინალში. სსრ კავშირის ნაკრებს ამ მატჩებში არც ერთი პარტია არ წაუგია ისეთ ძლიერ გუნდებთანაც კი, როგორიც არიან კუბის, პერუს, სამხრეთ კორეის, იაპონიის კოლექტივები.

— წარმომადგენლობის თვალსაზრისით მსოფლიო თასის გათამაშება მსოფლიო პირველობას შეიძლება შევადაროთ, — უთხრა სააგენტოს კორესპონდენტს სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. ახვლედიანმა. — ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ურუგვაიში მიიწვია ათი საუკეთესო ნაკრები, რომლებიც წარმატებით გამოდიან ბოლო წლების დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს კუბისა და პერუს სწრაფად მზარდმა გუნდებმა.

ფინალში ჩვენ ვხვდებოდით იაპონელებს, რომლებმაც ურუგვაიში თითქმის მთლიანად განახლებული შემადგენლობა ჩამოიყვანეს. იაპონიის გუნდის ხელმძღვანელები არ მალავენ, რომ XX ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორთა მთავარი მიზანი მომავალი წლის მსოფლიო ჩემპიონატია.

საბჭოთა ნაკრებისთვისაც ურუგვაის ტურნირი მსოფლიო პირველობისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო. გუნდში თამაშობდა ხუთი დებიუტანტი. კარგად გამოვიდნენ მოსკოველები ლ. შჩეტინინა და ლ. ბერგენი. ვოროშილოვგრადელები ე. კუზინა და ნ. ერიომინა, აგრეთვე, მოსკოველი ლ. პროკოშინა მხოლოდ ცალკეულ მატჩებში თამაშობდნენ მთელი ძალით. რაც შეეხება ჩვენს „ძველ გვარდიას“, უნდა ითქვას, რომ ოლიმპიური ჩემპიონები ნ. სმოლეევა, რ. სალიხოვა, ტ. ტრეტიაკოვა. ტ. გონობობლევა, ლ. ბოროზნა, ი. რისკალი, ვ. დუიუნოვა დღესაც კარგ ფორმაში არიან. მათი გამოცდილებისა და ახალგაზრდების აზარტის შერწყმამ უთუოდ კარგი შედეგი მოგვცა.

მოსკოვი.

[illegible]

ჩოგბურთი

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში უდიდესი ინტერესი გამოიწვია „დიდი პრიზის“ გათამაშებამ, რომელშიც მსოფლიოს ბევრმა ცნობილმა ჩოგბურთელმა მიიღო მონაწილეობა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლები — უიმბლდონის წლევანდელ ტურნირში გამარჯვებული ი. კოდეში და ი. ჰრებეცი. მეტისმეტად მწვავე ბრძოლამ გამარჯვება ჰრებეცს მოუტანა — 4:6, 6:1, 3:6, 6:0, 7:5. უცხოელთაგან ნახევარფინალში მხოლოდ ერთი ჩოგბურთელი გავიდა. ეს იყო ახალგაზრდა შვედი უ. ბენგტსონი.

მძლეოსნობა

ჩარლოუში (ინგლისი) ჩატარდა მარათონელთა ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო... ქალმა. ამგვარი რამ ინგლისელ მარათონელთა შეჯიბრებების ისტორიაში აქამდე არ მომხდარა. ამჯერად ტრადიცია დაირღვა — სტარტზე გამოვიდა 31 წლის ბრიჯიტ კაშენი. 26-მილიანი (41,8 კმ) დისტანცია მან 3 საათში, 37 წუთსა და 24 წამში გაირბინა და 199-ე ადგილი დაიკავა. ეს არც ისე ურიგო შედეგია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მარათონში 272 სპორტსმენი ჩაება. კაშენმა განაცხადა, მე გრძელ მანძილებზე რბენაში ქალთა მონაწილეობის უფლებისთვის ვილვწოდით. მარათონში გაიმარჯვა ი. ტომპსონმა — 2:12.40.

კამ დღეებში ზეიმით აღინიშნება დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 80 წლისთავი.

გალაკტიონი!

გალაკტიონი!
ზღვების ღელვა და
კლდეთა და მთათა გრგვინვა-ზანზარი,
გალაკტიონი!
კვესი ელვათა,
მჩქეფარე თერგის კვნესა და ზარი.
გალაკტიონი!
ლექსების ფრთების
მძლავრი მოქნევით ზეცას აჭრილი,
გალაკტიონი!
ვეფხვის არწივი,
რითმების ცეცხლით გულში დაჭრილი.
გალაკტიონი!
ვულკანის გული,
ურჩი მხედარი ლურჯა ცხენების.
გალაკტიონი!
დამშვიდებული
ატმის ყვავილთა ნაზი ფერებით.
გალაკტიონი!
პატარა ქუჩიში
სანახებიდან აჭრილი ქარი,
გალაკტიონი!
ქართული სიტყვით
ამღერებული ხმატკბილი ქნარი!

თეიმურაზ მიქიაშვილი,
ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის უფროსი მეთოდისტი.

შეფარდება: 19 ათასი და 5 ათასი

ტყვარჩელი: დღემდე არც ერთი ნიშნოსანი!

რატომ დარჩა წერილი უყურადღებოდ?

ნახევარზე მეტია, რაც საბჭოთა კავშირში მშდ ახალი ფიზკულტურული კომპლექსი დაინერგა. უკვე შარშან ყველა საფეხურის ნორმატივები ასეულ ათასობით ადამიანმა ჩააბარა. ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას ჩვენი რესპუბლიკა სათანადოდ გამოეხმაურა: გაიშალა ფართო პროპაგანდა, გაჩაღდა ბრძოლა თვითვალდებულებათა დროულად შესრულებისთვის. სამწუხაროდ, შედეგების პირველმა შეჯამებამ არასასიამოვნო ფაქტებიც გამოავლინა: ბევრ ქალაქსა და რაიონში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში დამახინჯებანი გვხვდება, ბევრგან ნიშნოსნების მოსამზადებლად წინასწარ მუშაობას და შეჯიბრებების გამართვას იოლი გზა ამჯობინეს — გეგმების შესრულება ქაღალდზე დაიწყეს.

შარშან სიყალბეში ამხილეს გეგეჭკორის, ორჯონიკიძის, ახალქალაქის, მარნეულის, დმანისის, თიანეთის, ახალციხის, ტყიბულის, თბილისის პირველი მაისისა და კიროვის რაიონების კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმმა, რომელმაც სპეციალურად იმსჯელა მშდ კომპლექსის დანერგვაში დაშვებულ შეცდომებზე, უალბისმქნელებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა და დასახა გზები მდგომარეობის გამოსწორებისთვის.

მას შემდეგ ამ საკითხზე ბევრჯერ იყო მსჯელობა საქართველოს სპორტკომიტეტში, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებში. რესპუბლიკაში მშდ კომპლექსის პროპაგანდისა და ნორმატივების ჩაბარების საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა, სიყალბემ იკლო. მიუხედავად ამისა, საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების ხელმძღვანელები, ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოები, სპორტსაზოგადოებათა რაიონული და საქალაქო საბჭოები, ფიზკულტურის საქალაქო, რაიონული და საოლქო კომიტეტები ზოგჯერ ჯერ კიდევ გულგრილად ეკიდებიან ამ მნიშვნელოვან საქმეს.

მშდ კომპლექსის პროპაგანდა ჯერ კიდევ ყველგან სათანადო დონეზე არ დგას, კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისთვის თავს არ იწუხებენ, ნორმატივების ჩამბარებელთა მოსამზადებელი ჯგუფების შექმნისთვის არ ზრუნავენ და ფონს გასვლას კვლავ იოლი გზით ცდილობენ. სიყალბეს ზოგჯერ თვითონ ნორმატივების ჩამბარებლებიც არ ერიდებიან. აი, ერთი მაგალითი: თბილისის ოქტომბრის რაიონის დოსააფის ტირში ვინმე ვ. ვარდიაშვილმა (რომელი ორგანიზაციის წევრია, ვერ დავადგინეთ) ტყვიის სროლაში ნორმატივის ჩაბარება მოინდომა... უთოფოდ, სამიზნე ლურსმნით დახვრიტა და ნორმატივების მიმღებ მ. კაჭკაჭიშვილს წარუდგინა.

რაკი სიტყვა სროლაზე ჩამოვარდა, აქვე კიდევ ერთი ამბავი უნდა გავიხსენოთ. ამ რამდენიმე ხნის უკან მშდ კომპლექსის დანერგვის მხრივ აფხაზეთის ფიზკულტურული ორგანიზაციის მუშაობის გაცნობისას სპორტკომიტეტში თქვეს, თითქოს შარშან 19 ათასი ნიშნოსანი მოამზადეს. მერე დოსააფის საოლქო კომიტეტში გაირკვა, რომ ნორმატივები 5 ათას კაცს ჰქონია ჩაბარებული (სროლაში ნორმატივების ჩაბარება დოსააფის ორგანიზაციის გარეშე არ მოხერხდებოდა).

როგორც ცნობილია, მშდ კომპლექსის ხუთი საფეხურიდან ტყვიის სროლა ოთხის ნორმატივებშია შეტანილი. გამოდის, რომ იმ 19 ათასიდან 14 ათასს I საფეხურის („მამაცნი და მოხერხებულნი“, 10-13 წლის ბავშვებისთვის) ნორმატივები ჩაუბარებია (!).

წლეულს საქართველოში კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების გეგმის შესრულებას ალბათ ერთგვარად შეაფერხებს ისიც, რომ სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს, ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დამატებითი დავალებანი მხოლოდ ოქტომბრის დამდეგს მიეცათ.

„განთიადის“ ორგანიზაციებს წლეულს ყველა საფეხურის 11000 ნიშნოსანი უნდა მოემზადებინათ. ახლა ეს ციფრი 4 ათასით გაიზარდა, დრო კი ცოტა რჩება. აფხაზეთის, წალენჯიხის, მარნეულის, საგარეჯოს, კასპის „განთიადის“ ორგანიზაციები ისედაც ჩამორჩნენ.

რაიონებში კომპლექსისადმი უგულისყურო დამოკიდებულებას თუნდაც ის მოწმობს, რომ „განთიადის“ საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს ცენტრალური საბჭოდან ჩამბარებელთა დასაჯილდოებლად სამკერდე ნიშნები არ მიაქვთ. რამდენიმე ათასი სამკერდე ნიშანი დღესაც საწყობშია და პატრონებს ელის.

ბევრ საწარმოში და პროფკავშირულ ორგანიზაციაში დღემდე არ ზრუნავენ მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობისთვის, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა რიგების ზრდისთვის. მაგალითად, ფოთის მიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელ ქარხანაში (დირექტორი დ. მალალაშვილი), სადაც 700-ზე მეტი მუშა და მოსამსახურეა, ინსტრუქტორ-მეთოდისტის შტატი გააუქმეს, ფიზკულტურული საქმიანობა შეწყდა, ნიშნოსნების მომზადებაზე აღარავინ ფიქრობს.

არაფერი კეთდება ფოთის № 2 სამკერვალო ფაბრიკაშიც (დირექტორი ც. ჭყონია).

პირდაპირ საოცარია მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ფიზკულტურის ინსტრუქტორის შ. ხვედელიძის თვითნებობა: იგი, როგორც ჩანს, „განთიადის“ საქალაქო საბჭოს ზემდგომ ორგანოდ არ თვლის — მის მითითებებს არ ასრულებს. ამ კავშირს ქალაქში 9 ფიზკულტურის მეთოდისტი ჰყავს, გეგმები კი არ სრულდება, ფიზკულტურელთა რაოდენობა 900 კაცით შემცირდა. ეს ამ პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის ბ. გამყრელიძის ბრალიცაა.

„ლელომ“ ერთი თვის უკან დაბეჭდა წერილი, რომელიც ქუთაისის სპორტკლუბ „კოლხიდაში“ შექმნილ მდგომარეობას ამხელდა. წერილში ნათქვამი იყო, რომ ამ კოლექტივს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის მატერიალური ბაზა არა აქვს. ავტორი სხვა საჭირბოროტო საკითხებსაც ეხებოდა. ვფიქრობდით, რომ ქარხნის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები წერილში მოყვანილ ფაქტებს მსჯელობის საგნად გახდიდნენ, ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის გზებს დასახავდნენ და რედაქციას პასუხს გამოუგზავნიდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. არადა, ავტოქარხანაში ფიზკულტურისა და სპორტის საქმე კვლავ მოიკოჭლებს, თანაც პრესაში გამოქვეყნებულ კრიტიკულ შენიშვნებს უყურადღებოდ ტოვებენ.

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისა და ფიზკულტურელებისადმი დახმარების მხრივ საქმე არც ქუთაისის სხვა კოლექტივებშია კარგად. მაგალითად, ძალიან ცუდად მუშაობდა ფეხსაცმლის კომბინატის (დირექტორი ვ. იობიძე) ფიზკულტურული ორგანიზაცია, რისთვისაც „განთიადის“ საქალაქო საბჭომ ამ კომბინატის ფიზკულტურის მეთოდისტი სამსახურიდან მოხსნა. ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის არც ავეჯის ფაბრიკაში (დირექტორი ლ. კოღუაშვილი) ზრუნავენ.

კურიოზული ფაქტი მოხდა მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში. ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი მ. ხვისტანი ადგილობრივ პრესაში გააკრიტიკეს იმის გამო, რომ კომკავშირის ორგანიზაციის კრებას ვერ დაესწრო, ვინაიდან იმ დროს საქალაქო სპარტაკიადაში გამოდიოდა.

რესპუბლიკის ზოგ რაიონში მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა რიცხვი ისე გაბერეს, რომ ზღაპრული ციფრები მიიღეს, ტყვარჩელში კი დღემდე ერთ კაცსაც არა აქვს რომელიმე საფეხურის ყველა ნორმატივი ჩაბარებული. მიზეზი? საცურაო აუზისა და წყალსაცავის უქონლობა. მე-8 და მე-5 შახტებში ძალიან ცუდადაა არა მარტო კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების, არამედ საერთოდ ფიზკულტურული მუშაობის საქმე.

მშდ კომპლექსის პროპაგანდა, ნორმატივების ჩაბარება, საერთოდ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა დაბალ დონეზეა ქარხანა „აფხაზხელსაწყოს“, ქვაისის, სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველოს ორგანიზაციებში. ტყიბულში საქმეს ის აფერხებს, რომ აუზს საქნახშირის კომბინატმა გათბობა ოქტომბრიდან შეუწყვიტა.

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ფართოდ დანერგვა სახელმწიფოებრივი საქმეა და მის მიმართ უყურადღებობა არავის ეპატიება.

მეორე მეცადინეობა

1 ნოემბერს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კლუბში შედგა თბილისის ფიზკულტურული აქტივის სახალხო უნივერსიტეტის მეორე მეცადინეობა.

მეცადინეობა დაიწყო უნივერსიტეტის რექტორის, დოცენტ ა. ციბაძის შესავალი სიტყვით.

წაიკითხეს მოხსენებები: „მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესი“ (დოც. ა. აღლაძე), „მშდ კომპლექსის შექმნის ისტორიიდან“ (დოც. ა. ციბაძე), „მშდ ახალი კომპლექსი“ (ა. რატია), „როგორ ვამზადებ მოსწავლეებს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად“ (თბილისის 36-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. სტვილია).

მოხსენებებში დასმული საკითხების ირგვლივ აზრი გამოთქვეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა დ. იოსელიანმა, ე. გოკიელმა, თბილისის სპორტკომიტეტის წარმომადგენელმა მ. მნათობიშვილმა.

შეკითხვებზე პასუხი გასცა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის წარმომადგენელმა ნ. სომხიშვილმა.

მესამე მეცადინეობა შედგება 6 დეკემბერს.

მ. მოდებაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის უფროსი ლაბორანტი.

წყალბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

კვლავ წაგება

უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის XV ტურში ძალიან გაუჭირდათ ლიდერებს — მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებიც ლენინგრადის „ბალტიკას“ ხვდებოდნენ. ლენინგრადელები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეებს. უფრო მეტიც, იყო მომენტი, როცა მოსკოველთა ბედი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა და სსრ კავშირის ჩემპიონებმა უაღრესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლეს მატჩის მინიმალური სხვაობით მოგება — 6:5.

ასევე საინტერესო გამოდგა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბისა და ალმაათის „დინამოს“ თამაში. მოსკოველებმა შეძლეს მეტოქის დამარცხება — 4:3.

კიევის „დინამოს“ და კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდების შეხვედრაში უპირატესობა უკრაინის წყალბურთელთა მხარეს იყო, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 3:1.

ლვოვის „დინამოს“ და ვოლგოგრადის „სპარტაკის“ შეხვედრამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 5:5.

კვლავ წააგო თბილისის „დინამომ“. მისი გუშინწინდელი მეტოქე — მოსკოვის „დინამო“ უკეთ თამაშობდა და აქტივში 2 ქულაც ჩაიწერა — 8:5.

რკინიგზელთა წარმატება

ქუთაისის „განთიადის“ საცურაო აუზში ხუთ დღეს გაგრძელდა საქართველოს პირველობა წყალბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის „ლოკომოტივი“ და „ბურევესტნიკი“, ბათუმის „განთიადი“ და „ვოდნიკი“, სოხუმის „განთიადი“, ქუთაისის „დინამო“.

ყველაზე საინტერესო გამოდგა თბილისის გუნდების შეხვედრა. ეს გასაგებიც იყო, ვინაიდან მათს შორის გამარჯვებული რესპუბლიკის ჩემპიონის სახელს იხვეჭდა. ამინდი ძალიან ცუდი იყო: კოკისპირულად წვიმდა და ცივი ქარი ქროდა. თამაში მეტად მწვავე გამოდგა, ორივე გუნდის მეკარეებს პირველი წუთებიდანვე მოუხდათ რამდენიმე ძნელი ბურთის მოგერიება. პირველი პერიოდის ბოლო წუთზე ლოკომოტიველმა მარგიევმა მოულოდნელი დარტყმით ანგარიში გახსნა. მე-8 წუთზე ქუთათელაძემ საპასუხო ბურთი გაიტანა, 2 წუთის შემდეგ კი მარგიევმა კვლავ ისახელა თავი — 2:1.

მესამე პერიოდში სეროფიანმა („ბურევესტნიკი“) და წიკლაურმა („ლოკომოტივი“) თითო ბურთი გაიტანეს.

ყველაზე შედეგიანი მეოთხე პერიოდი გამოდგა. მე-16 წუთზე სეროფიანმა წონასწორობა აღადგინა, ხოლო მელაძის დარტყმის შემდეგ „ბურევესტნიკი“ დაწინაურდა — 4:3.

დარჩენილ დროში ლორთქიფანიძისა და წიკლაურის ზუსტი ტყორცნების წყალობით რკინიგზელებმა გაიმარჯვეს — 5:4.

III ადგილზეა ბათუმის „განთიადი“.

ლ. ფაჩუაშვილი.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

* * *

სურათზე: თბილისის „ლოკომოტივისა“ და ბათუმის „ვოდნიკის“ შეხვედრის მომენტი.

ავტორის ფოტო.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ
უნივერსიტეტი (მოსკოვი)	15	12	3	0	80—45	27
სსფ ცსსკ (მოსკოვი)	15	10	4	1	80—56	24
„დინამო“ (კიევი)	15	9	3	3	67—48	21
„დინამო“ (მოსკოვი)	15	8	2	5	58—48	18
„ბალტიკა“ (ლენინგრადი)	15	5	3	7	65—68	13
„სპარტაკი“ (ვოლგოგრადი)	15	5	4	6	59—65	14
„დინამო“ (თბილისი)	15	3	4	8	54—66	10
კწფ (ბაქო)	15	4	2	9	48—67	10
„დინამო“ (ლვოვი)	15	2	4	9	56—68	8
„დინამო“ (ალმა-ათა)	15	1	3	11	41—77	5

ნიჭიერი ბავშვები

საინტერესოდ ჩატარდა „დინამოს“ აჭარის საოლქო საბჭოს საშეფო სკოლების პირველობა ფეხბურთში 1960-61 წლებში დაბადებულ ბავშვთა შორის.

შეჯიბრებაში თავიდანვე დაწინაურდნენ ბათუმის მე-3 სკოლის (ფიზაღზრდის მასწავლებელი ვ. მჟავია) წარმომადგენლები, რომლებმაც საბოლოოდ მოიპოვეს კიდეც პირველობა.

მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ურეხის სკოლისა და ქალაქის მე-4 სკოლის გუნდები.

შეჯიბრებამ გამოავლინა ნიჭიერი ბავშვები: გ. კუკულაძე, მ. გეგეჭკორი, ა. დოლიძე, თ. მოისწრაფიშვილი, ვ. ჟურავსკი, ს. ლაზიშვილი, მ. სანიკიძე, ზ. ზაქარიაძე, ზ. სტურუა, ჯ. კვიჭიძე.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

უცნაური სახეცვლილება

თბილისი. სპორტის სასახლე.
2 ნოემბერი.
ცსკა — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ტაშკენტი) 24:18 (10:9).
ასკ (კიევი) — „კუნცევო“ (მოსკოვი) 19:24 (9:10).
„ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) — მეტალურგიის ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) 20:22 (12:9).
„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 28:26 (12:10).

• • •

3 ნოემბერი.
ფიზკულტურის ინსტიტუტი — ასკ 20:32 (12:15).
„კუნცევო“ — „ალუმინსტროი“ 21:14 (11:8).
მეტალურგიის ინსტიტუტი — საავიაციო ინსტიტუტი 17:23 (8:12).
„ბურევესტნიკი“—ცსკა 26:36 (12:21).

ვინც გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში ადგილობრივი „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელთა მატჩს დაესწრო, უთუოდ იტყვის, რომ მოედანზე თბილისელთა ძველი ყაიდის გუნდი იხილა. დიახ, ეს იყო ერთიანი კოლექტივი, რომელმაც მოქნილი ტაქტიკით, ოსტატური და ლაღი თამაშით გულშემატკივრები განაცვიფრა. თბილისელებმა გამოავლინეს ყველა ის თვისება და უნარი, რაც მაღალი კლასის გუნდს მოეთხოვება. საერთოდ, კოლექტივის ყველა წევრს მიუძღვის დამსახურება ამ წარმატებაში, მაგრამ არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ „ბურევესტნიკის“ ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე ანპილოგოვი. რაც დრო გადის, იგი სულ უფრო უკეთ თამაშობს და ბევრი სარგებლობა მოაქვს გუნდისთვის. ამ მატჩში ყველაზე შედეგიანი სწორედ ანპილოგოვი იყო, რომელმაც მეტოქეთა კარში 9 გოლი გაიტანა.

ახლა გადავხედოთ მატჩის სტენოგრამას, რომელიც მოწმობს, თუ რა დაძაბული და შეუპოვარი ბრძოლა წარიმართა ამ სანახაობრივად დიდებულ შეხვედრაში. თბილისელები თავიდანვე დაწინაურდნენ (3:0), შემდეგ თამაში ერთგვარად გათანაბრდა, თუმცა ინიციატივას მაინც მასპინძლები ფლობდნენ. პირველ ტაიმში მათ მეტოქეებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მხოლოდ ერთხელ მისცეს (6:6). შესვენების შემდეგ სტუმრებმა რამდენიმეჯერ მოახერხეს დაწინაურება (16:15, 17:16, 19:18, 20:19, 22:20, 23:22). თვით ამ კრიტიკულ მომენტებშიც კი თბილისელები დამაჯერებლად, გამარჯვების დიდი რწმენით იბრძოდნენ და საბოლოოდ სძლიეს კიდეც ძლიერ მეტოქეს. ისიც უნდა ითქვას, რომ სტუმართა რიგებში არ იყო მათი ერთ-ერთი ლიდერი კლიმოვი.

რამდენადაც გუშინწინდელ მატჩში გაგვახარეს თბილისელებმა, იმდენად გაგვაწბილეს ცსკა-სთან გუშინდელ შეხვედრაში. მოსკოველ სტუდენტებთან მოგება პიროსის გამარჯვების მსგავსი აღმოჩნდა: როგორც ჩანს, საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებთან მატჩს ჩვენმა სპორტსმენებმა დიდი ძალა შეალიეს და ახლა თითქმის უბრძოლველად დაყარეს ფარ-ხმალი.

ერთი სიტყვით, ორი დღის მანძილზე ჩვენ ვიხილეთ ორი სხვადასხვა ძალის „ბურევესტნიკი“: ერთი — ძლიერი, მონოლითური, მეორე — უსუსური, გამოფიტული. როგორც ჩანს, მას დიდი შრომა დასჭირდება, რომ ჩემპიონატის მომდევნო წრეებში თავი არ შეირცხვინოს.

ჯ. ენუქიძე.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა პირველი წრის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	7	5	0	2	169—146	10
საავ. ინსტ.	7	5	0	2	181—170	10
„კუნცევო“	7	4	1	2	169—153	9
მეტალ. ინსტ.	7	4	1	2	158—146	9
ასკ	7	3	1	3	166—148	7
„ბურევესტ.“	7	3	0	4	167—178	6
„ალუმინსტ.“	7	1	1	5	142—166	3
ფიზკ. ინსტ.	7	1	0	6	150—195	2

ფიშერი: ჩემი სიცოცხლე ჭადრაკია

ბ. ალექსანდროვიჩი

ბორის სპასკიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: ღრმად ვარ დარწმუნებული, ფიშერს ჩემთან შეხვედრისა ეშინოდაო. ადვილი მოსალოდნელია ბობის მართლაც ჰშინებოდა, შეიძლება არა იმდენად მეტოქისა, რამდენადაც იმისა, ვაითუ ამ მატჩში ჩემი შესაძლებლობები მთლიანად ვერ გამოვავლინოო. სასწორზე ძალიან ბევრი რამ იყო შეგდებული, ხოლო დამარცხებაზე ფიქრიც კი ბობის თავზარს სცემდა. ამ მატჩის წაგებით ფიშერი საბოლოოდ დაკარგავდა (თავის თვალშიც კი) „მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონის წოდებაზე“ პრეტენზიას. ეს კი ფიშერისთვის ჭეშმარიტად ცხოვრებისეული ტრაგედია იყო — მას ხშირად უთქვამს დარაჰთან და სხვა თავის მცირერიცხოვან მეგობრებთან, რომ „ამერიკელები მარცხს არავის აპატიებენ“. ესე იგი, რა ექნა: დასჯერებოდა ისევ „არაოფიციალური ჩემპიონის“ წოდებას (რომელიც განმტკიცებული იქნებოდა პრეტენდენტთა მატჩებში მოპოვებული ბრწყინვალე წარმატებებით), თუ რისკი გაეწია და ნამდვილი ჩემპიონობისთვის ებრძოლა? როგორც ჩანს, ამ საკითხს ფიშერი მტანჯველი მერყეობისა და ეჭვების ფასად წყვეტდა. მხოლოდ მაშინ, როცა ფინალური მატჩი კინაღამ საბოლოოდ ჩაიშალა, მასში იმძლავრა და თავისი გაიტანა საჭადრაკო გვირგვინის მოპოვების წყურვილმა.

სპასკი ფიშერისთვის, უდავოდ, მეტად მოუხერხებელი მეტოქე იყო არა მარტო იმიტომ, რომ რეიკიავიკის მატჩამდე ამერიკელ დიდოსტატს მასთან პირად შეხვედრებში უარყოფითი ბალანსი ჰქონდა. სპასკი ფიშერს „აშინებდა“ თავისი ნებისყოფითა და სიდინჯით — იმ თვისებებით, რომელთა გამომუშავებაც უკანასკნელი ათი წლის მანძილზე შეძლო და რამაც, სამწუხაროდ, უღალატა ისლანდიაში, მატჩის დროს. თვით ბობი აშკარად შეფიქრიანებული წერდა მომავალი მეტოქის ამ თვისებებზე ჯერ კიდევ 1968 წელს, როცა იგი „ყველა დროის ათი უდიდესი მოჭადრაკის“ სიაში შეიყვანა. 1970 წლის მარტში, ბელგრადის მატჩის დროს, ფიშერმა ყველა გააოცა, როცა პირველი დაფა ბენტ ლარსენს დაუთმო. ბევრი მიმომხილველის აზრით, ეს მოულოდნელი „თვინიერება“ მოწმობდა, რომ ფიშერს სპასკისთან შეხვედრა არ სურდა. როგორც ჩანს, ფიშერს უაღრესად რთულ ამოცანად მიაჩნდა სპასკისთან შეხვედრაში იმის მიღწევა, რისკენაც იგი, მისივე აღიარებით, მუდამ მიისწრაფის: პარტნიორის „ეგოს“ ჩახშობა.

რეიკიავიკის მატჩის პირველ პარტიაში ფიშერი დამაჯერებლად ვერ გრძნობდა თავს: აწუხებდა ერთი მხრივ უნებლიე გაუბედაობა მეტოქის წინაშე, მეორე მხრივ — შინაგანი ამბოხება ამ გაუბედაობის წინააღმდეგ. შემდგომ ბობიმ სკანდალი მოაწყო, მეორე პარტიაზე არ გამოცხადდა, წარამარა ემუქრებოდა ორგანიზატორებს, შეჯიბრებას მივატოვებო, მაგრამ მორიგ შეხვედრაზე, როცა ანგარიში 0:2 იყო, „ცოცხალი, მხიარული და ხალისიანი გამოცხადდა“. ამ პარადოქსული ცვლილების მიზეზის გასაგებად აუცილებელია საჭადრაკო ბრძოლის ფსიქოლოგიასთან ფიშერის დამოკიდებულების გათვალისწინება.

ამერიკის საჭადრაკო ფედერაციის დირექტორ-გამრიგებელმა ედმუნდ ედმონდსონმა ჟურნალ „ნიუ იორკერში“ დაბეჭდილ წერილში ერთი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა: „პეტროსიანთან მატჩის წინ ბობი ხშირად მირეკავდა ტელეფონით და თავისთან მეპატიჟებოდა ჭადრაკის სათამაშოდ. „კი მაგრამ, ბობი, რაში გაინტერესებთ ჩემთან თამაში?“ — მიკვირდა მე (ედმონდსონი პირველი თანრიგის მოჭადრაკეა. — ბ. ა.).“ რატომ, — სიცილით მიპასუხებდა იგი,—თქვენთან თამაშის დროს თავი ვეფხვი მგონია, ეს გრძნობა კი აუცილებელია ჩემთვის. მე უნდა ვიცოდე, რომ სხვებსაც ვეფხვად ვეჩვენები“.

სათამაშოდ ფსიქოლოგიურად განწყობისთვის ფიშერმა ჯერ კიდევ პარტიის დაწყებამდე უნდა ჩაიყენოს თავი განსაკუთრებულ მდგომარეობაში, თავის სურვილს დაუმორჩილოს ყველა — ორგანიზატორები, მსაჯები, პარტნიორები. რეიკიავიკშიც ასე იყო: ფიშერს „საბრძოლო განწყობილება“ გაუჩნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პარტნიორი დაითანხმა, რომ მესამე პარტია დახურულ შენობაში ეთამაშათ. ამასთან, ფიშერმა იცოდა, რომ შეუბღალავი სპორტული რეპუტაციით განთქმულ სპასკიზე მეორე პარტიაში უბრძოლველად მიღებული ქულა უთუოდ უარყოფით გავლენას მოახდენდა.

იმაზე, თუ რამდენად განსხვავებული პრინციპებით უდგებოდნენ რეიკიავიკის მატჩის მონაწილენი სპორტულ ბრძოლას, ნათლად მეტყველებს ერთი ეპიზოდი: მეექვსე პარტიის დამთავრების შემდეგ სპასკიმ პარტნიორს გამარჯვება მიულოცა და მაყურებლებთან ერთად ტაში დაუკრა ამერიკელს. ფიშერს გულიც კი აუჩუყდა. „თვალებს არ დავუჯერე, — უთხრა მან შემდეგ თავის სეკუნდანტ ლომბარდის. — ასე მოქცევა მხოლოდ ნამდვილ ჯენტლმენს შეეძლო... მე ეს არ შემიძლია... ბორისი, როგორც ადამიანი, ძალიან მომწონს და სიამოვნებით გავარჩევდი მასთან ერთად ჩვენს პარტიებს, მაგრამ სანამ ვთამაშობთ, მე მასში მტერს უნდა ვხედავდე. სხვანაირად არაფერი გამომივა!“.

ფიშერს სპორტულ ბრძოლაში შეაქვს „ყველას წინააღმდეგ ბრძოლის“ ელემენტი. იგი „მტერს უნდა ხედავდეს“ არა მარტო პარტნიორში, არამედ ადმინისტრატორებში, მსაჯებში, მაყურებლებში. XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დამდეგის ცნობილ ინგლისელ ოსტატს ბლეკბერნს პარტიის დროს ისე იტაცებდა პოზიცია, რომ მთლიანად ეთიშებოდა გარემოს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთხელ ბლეკბერნმა თამაშის დროს დარბაზში გაჩენილი ხანძარი ვერ შენიშნა. ფიშერს კი, პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ საჭადრაკო პოზიციას უდიდესი ყურადღებით ეკიდება, დარბაზში ოდნავი შრიალიც არ გამოეპარება და ამას პირად შეურაცხყოფადაც ღებულობს. რეიკიავიკის მატჩში ერთ-ერთი პარტიის დროს ბობიმ მთავარ მსაჯს მოსთხოვა დარბაზიდან გაეყვანათ შვიდი წლის გოგონა, რომელიც პირველ რიგებში იჯდა და კამფეტს წუწნიდა. „სულ ოთხი ცალი შევჭამე!“ — შესძახა ნაწყენმა გოგონამ, რომელსაც მშვენიერი სმენა ჰქონდა და ინგლისურიც იცოდა. „ოთხი კი არა, ექვსი. პატარა ცრუპენტელავ! — აფეთქდა ფიშერი. — გგონია არ დამითვლია?!“

მატჩის პირველ ნახევარში, როცა სპასკი აშკარად ამოვარდა კალაპოტიდან თავისი პარტნიორის უსასრულო ექსცესების წყალობით, ფიშერი მშვიდად და დამაჯერებლად თამაშობდა. დროდადრო ეს დამაჯერებლობა თვითდაჯერებულობაში გადადიოდა, რისთვისაც მეთერთმეტე პარტიაში ბობი მკაცრად დაისაჯა. შემდგომში მან ტაქტიკა შეცვალა — ფრთხილად და წინდახედულად დაიწყო თამაში. მატჩის მეორე ნახევარში სპასკიმ ხელთ იგდო ინიციატივა, მაგრამ ფიშერი წარმატებით იცავდა თავს. ამ მატჩში იგი ჭკვიან საჭადრაკო ფსიქოლოგად მოგვევლინა. სამქულიანი უპირატესობის მოპოვების შემდეგ ფიშერმა სცადა მეტოქე დაეთანხმებინა მშვიდ მანევრულ ბრძოლაზე, რაც მოითხოვს დიდ სიზუსტეს, თანაც განსაკუთრებით ქანცგამწყვეტს იმ მხარისთვის, რომელსაც წონასწორობის აღდგენა უხდება.

ფიშერმა თავის პრაქტიკაში პირველად თქვა უარი საყვარელ სადებიუტო სქემებზე, როცა დარწმუნდა, რომ ეს სქემები ხელსაყრელი არ იყო. მატჩის შემდეგ ახალმა ჩემპიონმა აღიარა: „პერიოდი მეთოთხმეტე პარტიიდან მეოცემდე ყველაზე ძნელი და დაძაბული იყო ჩემს საჭადრაკო კარიერაში. „გამუდმებით საფრთხე მემუქრებოდა და იძულებული ვიყავი გადარჩენის გზა მეძებნა. ძალიან რთული ამოცანების წინაშე დამაყენა მაშინ“, — იხსენებდა მერე ბობი. მაგრამ ფიშერმა გადაჭრა ეს ამოცანები.

რეიკიავიკის მატჩმა კვლავ დაამტკიცა, რომ ფიშერის შემოქმედებაში უძლიერესი მხარეებია ვარიანტების სწრაფი, ზუსტი გათვლა და ვირტუოზული თამაში მარტივ პოზიციებში თუნდაც სულ უმნიშვნელო უპირატესობის დროს. ჩემპიონს ნაკლებად ეხატება გულზე რთული, დახლართული პოზიციები, რომელთა შეფასებაშიც მთავარ როლს საჭადრაკო ინტუიცია თამაშობს. შემთხვევითი როდია, რომ იუგოსლაველ ჟურნალისტ დმიტრიე ბელიცასთან საუბარში რობერტ ფიშერმა თავის შემოქმედებით ანტიპოდად ალექსანდრე ალიოხინი დაასახელა. „იგი ცდილობს უბრალო პოზიციები გაართულოს, მე კი მირჩევნია რთული გავამარტივო“, — ამბობს ფიშერი.

წარმატება, რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ხვალინდელ დღეზე ზრუნვისგან არ ათავისუფლებს. დიდების წარმავლობას კიდევ ერთხელ გვახსენებს ბედი ეკრანისა და სპორტის ბევრი „ვარსკვლავისა“, რომლებსაც ახლა სიღატაკეში ხდებათ სული. აი, რატომ ჩქარობენ დღევანდელი გმირები თავიანთი წარმატებების სწრაფად „მატერიალიზებას“. მაგალითად, ყოფილი კოსმონავტი ჯონ გლენი დღეს გაზიანი სასმელების ფირმის ერთ-ერთი მეპატრონეა, ხოლო ბრწყინვალე მოცურავე მარკ სპიტცი, რომელმაც მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში შვიდი ოქროს მედალი მოიპოვა, ელექტროსაპარსების ფირმა „მიკის“ სარეკლამო აგენტად იქცა.

ბობი ფიშერს ეს გზა არ აურჩევია. ცხოვრებაში მისთვის მთავარი ფული კი არა, ჭადრაკია. „რა ადგილი უკავია ჭადრაკს თქვენს ცხოვრებაში?“ — ჰკითხა მას ერთხელ ჟურნალ „ჰარპერს მეგეზინის“ რეპორტიორმა. „ჩემი სიცოცხლე ჭადრაკია“, — უპასუხა ბობიმ. ამ სიტყვების გულწრფელობაში ეჭვს ვერ შევიტანთ.

ეგეც არ იყოს, ფიშერს მეტად დამოუკიდებელი ხასიათი აქვს საიმისოდ, რომ ფულის გულისთვის ვინმეს დაემონოს. „ფული ძალიან მიყვარს, მაგრამ ვიღაც ვიგინდარა ჩემს ხარჯზე რატომ უნდა გამდიდრდეს?“ — მისთვის ჩვეული უშუალობით განუცხადა მან დარაჰს რეიკიავიკში მატჩის დამთავრებისთანავე. ფიშერის მთავარი ადვოკატი პოლ მარშალი, როგორც ჩანს, ამ სიტყვებს დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრია, რადგან, იმავე დარაჰის მოწმობით, იგი იმ დროს უკვე „იჯდა მიმზიდველი წინადადებების უზარმაზარ გროვაზე, რომელთა საერთო ღირებულებაც დაახლოებით ათი მილიონი დოლარი იყო, და ამაოდ ცდილობდა დაეყოლიებინა თავისი კლიენტი ამ წინადადებათა თუნდაც ნაწილის მიღებაზე“. ერთადერთი, რაზეც ბოლოს და ბოლოს დათანხმდა ფიშერი, ესაა სატელევიზიო პროგრამაში მონაწილეობა ცნობილ კომიკოს ბობ ჰოუპთან ერთად, რომელმაც მას გაცილებით უფრო დიდი ჰონორარი შესთავაზა, ვიდრე მარკ სპიტცს. სწორედ ამ „არჩევანმა“ ითამაშა გადამწყვეტი როლი, რადგან ბობის გატაცება ზეჰონორარებით ნაკარნახევია არა იმდენად სიხარბით (მან დაამტკიცა, რომ ადვილად შეუძლია შეელიოს ფულს, როცა დიდი თანხები გაიღო ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვთა ბაღების „შექმნისა“ და ახალგაზრდა ნიჭიერ მოჭადრაკეთა სტიპენდიებისთვის), რამდენადაც თავისი საკუთარი და ჭადრაკის პრესტიჟის დაცვის სურვილით. „მე მივაღწევ, რომ ჭადრაკს ეკიდებოდნენ არანაკლები პატივისცემით, ვიდრე, ვთქვათ, კრივს,— განაცხადა ახლახან ფიშერმა. — რამდენიც უნდა მოითხოვოს მუჰამედ ალიმ თავისი მორიგი გამოსვლისთვის, მე უფრო მეტს მოვითხოვ!“

მაგრამ ბობიმ იცის, რომ მას მხოლოდ მანამდე შეუძლია სპორტის ბოსებს თავისი სურვილები უკარნახოს, სანამ წარმატებით ითამაშებს, და ეს პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთად აწევს. აი, რატომ არ ჩქარობს იგი განახორციელოს უკვე გამოთქმული სურვილი: ითამაშოს მატჩები „წელიწადში ორჯერ მაინც“.

ამჟამად ფიშერი ნაკლები ენთუზიაზმით ეკიდება თავის ზოგიერთ სხვა „არასაჭადრაკო“ გეგმასაც. თავის დროზე იგი აპირებდა მსოფლიო პირველობის მოპოვების შემდეგ სხვადასხვა ქვეყანაში სახლები ეყიდა („იმ ტიპით... რა ჰქვია?.. ონასისი“), ხოლო თავისი მთავარი რეზიდენცია საჭადრაკო ეტლის სახით აეგო. ახლა ბობის უკვე გაუნელდა ინტერესი ამ იდეისადმი, თუმცა დასავლეთგერმანელმა არქიტექტორმა რაინჰარდ ბარნატმა განსახილველად უკვე წარუდგინა შესაბამისი პროექტი.

ფიშერი კვლავინდებურად ოტელში ცხოვრობს, არავითარ ინტერესს არ იჩენს თავისი ყოველდღიური ყოფისა და პირადი ცხოვრების მოწესრიგებისადმი. როცა ოცდაათი წლის ჩემპიონს ჰკითხეს, აპირებთ თუ არა დაქორწინებასო, ბობიმ მეტად საინტერესო პასუხი გასცა: „მე არ ვაპირებ დრო და ენერგია შევალიო საცოლის ძებნას. თუ უფალი მიიჩნევს, რომ ჩემი დაქორწინების დრო დადგა, თვითონ გამომიგზავნის ვისმეს“.

ფიშერის ადვოკატთა მრავალრიცხოვან ამალაში გაჩნდა ახალი ფიგურა — სტენლი რეიდერი, „საზოგადოებრიობასთან კავშირის“ სპეციალისტი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტთან ინტერვიუში იგი შეეცადა ფიშერის ახალი „იმიჯის“ (სახის) შექმნას. „ფართოდ გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, ბობი საკმაოდ ზრდილი ახალგაზრდა კაცია, — განაცხადა რეიდერმა. — მე თვითონ ვიყავი მოწმე, რომ, როცა კბილის ექიმთან 45 წუთს დააგვიანა, ფიშერმა პირველ ყოვლისა ბოდიში მოიხადა...“ შემდეგ რეიდერმა თქვა, რომ ფიშერი აპირებს გადაღებას ფილმში, სადაც ერთდროული თამაშის სეანსი უნდა გაუმართოს „ოც ცნობილ ადამიანს პრეზიდენტ ნიქსონის მრჩევლის ჰენრი კისინჯერის ჩათვლით“. ამას გარდა, როგორც რეიდერი ამტკიცებს, ფიშერი აპირებს კონტრაქტის დადებას ხმის ჩამწერ ფირმა „მოთაუნ რეკორდზთან“, სადაც რამდენიმე ფირფიტა უნდა იმღეროს „მსუბუქი როკ-ნ-როლის“ სტილით (მაგალითად, მან უნდა შეასრულოს ერთი სიმღერა, რომელსაც ჰქვია „მე თვინიერი ბიჭი ვარ“). თუ რეიდერს დავუჯერებთ, ფიშერმა „ამ ბოლო ხანს მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი ინტერესების წრე და ახლა მხოლოდ საჭადრაკო კლუბებში როდი დადის“.

მაგრამ ამერიკელი დიდოსტატი ლარი ევანსი, რომელიც საჭადრაკო განყოფილებას ხელმძღვანელობს გაზეთ „ნიუ იორკ პოსტში“, ამ ვერსიას მეტად სკეპტიკურად უყურებს. „თავის დროზე მე ვცადე ბობი მაღალი საზოგადოებისთვის დამეახლოებინა,—წერს იგი, — მაგრამ სრული კრახი განვიცადე და ვეჭვობ, რომ ამგვარი ცდა ვინმემ წარმატებით დააგვირგვინოს...“ როგორც ჩანს, მისტერ რეიდერი ფიშერის პოტენციური მეტოქეების სიფხიზლის მოდუნებას ცდილობს, მაგრამ ისინი უპატიებელ ქარაფშუტობას გამოიჩენენ, თუ ბობის საჭადრაკო ძალის დასუსტებაზე დაამყარებენ იმედს...“

მაგრამ საეჭვოა, რომ საჭადრაკო გვირგვინისთვის ბრძოლის რომელიმე პოტენციურ კანდიდატს ამგვარი ილუზიები გაუჩნდეს. უფრო მეტიც, დიდოსტატი, რომელსაც ახლანდელ ჩემპიონთან შეხვედრაში წარმატების იმედი აქვს, ამ ორთაბრძოლაზე უნდა გამოცხადდეს არა მარტო ჭადრაკის ცოდნით აღჭურვილი, არამედ უნაკლოდ მომზადებული ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც.

ჟურნალი „ავრორა“ № 9.

დასასრული. იხ. „ლელო“ №№ 216, 217.

ახალი ამბავი-73

● კაუნასი, 1 ნოემბერი. აქ დამთავრდა პროფკავშირების უძლიერეს კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის „სპარტაკი“ და კაუნასის „ჟალგირისი“. ანგარიშით 82:67 გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა. III ადგილი დაიკავა მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდმა. მომდევნო ადგილებზე არიან: ვეფ-ი (რიგა), „კალევი“ (ტარტუ), „სტროიტელი“ (კიევი). სპეციალური პრიზები მიიღეს: საუკეთესო ცენტრალური მოთამაშისა — ა. ბელოვმა („სპარტაკი“), საუკეთესო თავდამსხმელისა — ვ. კრისევიჩმა (რტი), საუკეთესო გამთამაშებლისა — გ. მასალსკისმა, საუკეთესო მცველისა — ა. ჟუკაუსკასმა (ორივე — „ჟალგირისი“), ყველაზე შედეგიანი მოთამაშისა — ი. მტუკინმა („სპარტაკი“).

● პარიზი, 2 ნოემბერი. საფრანგეთის დედაქალაქის ერთ-ერთ მდიდრულ სასტუმროში საინტერესო შეხვედრა გაიმართა: ექვს საუკეთესო ფრანგ მოჭადრაკე ქალს შეეჯიბრა ესპანეთის საერთაშორისო ტურნირში მონაწილე საბჭოთა სპორტსმენთაგან შემდგარი გუნდი. მასპინძელთა ღირსებას იცავდნენ ბოლო სამ წელიწადს ქვეყნის ჩემპიონები მაკლე, ბიკი და ბენუა, აგრეთვე, საფრანგეთის „იმედები“ მიშალე, უიფარი და ბერგესი. სტუმართა შორის იყვნენ ალექსანდრია, ლევიტინა, კონოპლიოვა, კოზლოვსკაია, ზატულოვსკაია და შული. ორ ტურად ჩატარებული მატჩის ანგარიშია 7:5 სსრ კავშირის წარმომადგენელთა სასარგებლოდ. მათს თამაშს სპეციალისტები ხოტბას ასხამენ. განსაკუთრებით ბრწყინვალედ სძლია ლევიტინამ ორივე ტურში მიშალეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1973

სსრ კავშირის პირველობა

ჩემპიონატის ქრონიკა

2 ნოემბრის მატჩებით დასრულდა სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონატი.

„სპარტაკი" — „კარპატი" 1:0. ამ მატჩში გავიდა ერთადერთი გოლი, რომელმაც სპარტაკელებს გამარჯვებასთან ერთად მოუტანა IV ადგილი გათამაშების საბოლოო ცხრილში. „კარპატის" კარში დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა ბუკიევსკიმ.

მოსკოვის „სპარტაკს" და თბილისის „დინამოს" ქულათა რაოდენობაც თანაბარი აქვთ და ძირითად დროში გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობაც (+9), მაგრამ სპარტაკელთა უპირატესობა განაპირობა იმან, რომ მათ უკეთესი შედეგები მოიპოვეს თბილისელებთან შეხვედრებში. როგორც ცნობილია, „სპარტაკმა" შინ გაიმარჯვა ანგარიშით 3:1, თბილისში კი დამარცხდა — 0:1. საერთო ბალანსია 3:2 მოსკოველთა სასარგებლოდ.

„დინამო" (მინსკი) — „დნეპრი" 2:0. ვასილიევისა და სახაროვის ორმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა მინსკის გუნდს, თუმცა ამ მოგებით მან მაინც ვერ დააღწია თავი ბოლოსწინა ადგილს. მინსკელები როსტოვის არმიელებთან ერთად გაისად I ლიგაში ითამაშებენ.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.ძ.	მ.ა.	წ.	ბ.	ქ.
„არარატი" (ერევანი)	30	18	3	9	79—55(52—26)	39
„დინამო" (კიევი)	30	16	4	10	85—64(44—23)	36
„დინამო" (მოსკოვი)	30	13	7	10	89—70(43—30)	33
„სპარტაკი" (მოსკოვი)	30	14	3	13	69—61(37—28)	31
„დინამო" (თბილისი)	30	13	5	12	73—59(42—33)	31
„შახტიორი" (დონეცკი)	30	14.	3	13	61—59(32—26)	31
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	30	14	1	15	56—48(38—26)	29
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	30	9	8	13	85—79(36—40)	26
„ქაირათი" (ალმა-ათა)	30	8	10	12	74—73(25—37)	26
ცსკა	30	10	5	15	73—76(33—36)	25
„ზენიტი" (ლენინგრადი)	30	9	3	18	92—101(33—35)	21
„პახთაქორი" (ტაშკენტი)	30	9	2	19	60—72(37—44)	20
„ტორპედო" (მოსკოვი)	30	9	1	20	54—73(28—37)	19
„კარპატი" (ლვოვი)	30	8	3	19	53—73(28—48)	19
„დინამო" (მინსკი)	30	7	3	20	66—82(21—36)	17
სკა (დონის როსტოვი)	30	3	5	22	68—92(19—43)	11

I ლიგა

გუშინწინ გაიმართა ბოლო ტურის შეხვედრები.

ქუთაისის „ტორპედო" ივანო-ფრანკოვსკში დამარცხდა ადგილობრივ „სპარტაკთან" — 0:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 5:2, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟე) 1:2, „ალგა" (ფრუნზე) — „ნეფთჩი" (ბაქო) 1:0, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „პამირი" (დუშანბე) 7:6 (პენალტებით. ძირითადი დრო — 2:2), „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „ზვეზდა" (პერმი) 8:7 (პენალტებით. ძირითადი დრო — 1:1), „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვ" (კუიბიშევი) 2:0, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „შახტიორი" (კარაგანდა) 1:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „კუზბასი" (კემეროვო) 3:1.

საბოლოოდ, I ლიგაში გაიმარჯვა „ჩერნომორეცმა" — 52 ქულა. ამდენივე ქულა აქვს „ნისტრუს", მაგრამ ბურთების უარესი სხვაობის გამო იგი II ადგილზეა. III ადგილზე გავიდა მოსკოვის „ლოკომოტივი" — 46 ქულა.

დებულების თანახმად, „შახტიორი", „მეტალისტი" და „ალგა" საგაისოდ დატოვებენ I ლიგას.

სტარტი აღებულია

გუშინწინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, სტარტი აიღო ვაჟთა შორის სსრ კავშირის თასის გათამაშების წინასწარმა შეჯიბრებამ. დილით ტურნირის საზეიმო გახსნაზე მეტოქენი დაწყვილდნენ წილისყრით, საღამოს კი მინი-მატჩებში პირველი პარტიები გათამაშდა.

შეჯიბრებაში 13 რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის 62 წარმომადგენელი მონაწილეობს, ბრძოლაში ჩაება სამი დიდოსტატი — დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), ა. გიპსლისი (რიგა), ე. გუფელდი (თბილისი), 38 ოსტატი და 21 ოსტატობის კანდიდატი.

პირველ ეტაპზე მეტოქენი ოთხ-ოთხ პარტიას გაითამაშებენ. მინი-მატჩში გამარჯვებული მოჭადრაკე ბრძოლას მეორე ეტაპზე გააგრძელებს, დამარცხებული კი შეჯიბრებას გამოეთიშება.

გთავაზობთ პირველი შეხვედრების შედეგებს:

მ. შერეშევსკი (მინსკი) — ა. ბუსლაევი 0,5:0,5, ა. ბოკუჩავა (ორივე — თბილისი) — ბ. ნევიდნიჩი (კიშინიოვი) 1:0, რ. სიოევი (აშხაბადი) — ა. ტუზოვსკი (სოხუმი) 0,5:0,5, ი. ნიკიტინი (პავლოდარი) — კ. ჩიგოგიძე 1:0, ს. კიკილაშვილი (ორივე — თბილისი) — ო. ძუბანი (ცელინოგრადი) 0:1, ბ. სოლოვიოვი (სვერდლოვსკი) — ვ. ვოროტნიკოვი (ლენინგრადი) 0:1, ა. კრემენეცკი (მოსკოვი) — ვ. პერესიპკინი (კიევი) 0,5:0,5, ა. მაჩულსკი (ხარკოვი) — დ. ბრონშტეინი 0,5:0,5, ნ. მიშუჩკოვი (ლენინგრადი) — ვ. კოზლოვი (არხანგელსკი) 1:0, ა. ვაისმანი (ხარკოვი) — ა. დიევი (მოსკოვი) 0,5:0,5, ა. ნოვოპაშინი (დნეპროპეტროვსკი) — ა. მიხალჩიშინი (ლვოვი) 0:1, ბ. კატალიმოვი (ალმა-ათა) — გ. ტიმოშჩენკო (ნოვოსიბირსკი) 0,5:0,5, ვ. მიკენასი (ვილნიუსი) — ვ. ფიოდოროვი (მოსკოვი) 0:1, ო. რომანიშინი (ლვოვი) — ს. გუბნიცკი (ხარკოვი) 1:0, ლ. ზაიდი (კიევი) — ი. კაკაგელდიევი (აშხაბადი) 1:0, ა. არუთინოვი (ერევანი) — ი. ანიკაევი (ნოვოკუზნეცკი) 0:1, ა. კოჩიევი (ლენინგრადი) — ა. კუდრიაშოვი (აშხაბადი) 0,5:0,5, ე. ჩუკაევი (კაუნასი) — ა. ზახაროვი (დონის როსტოვი) 0,5:0,5, მ. ფაინბერგი (ოდესა) — მ. ციტლინი (ლენინგრადი) 1:0. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

როცა თასის პირველი მფლობელი ბრონშტეინი ყაიმს დასჯერდა, ლენინგრადელმა მსაჯმა, ოსტატმა ა. გელერმა თქვა:

— ბრონშტეინს საკუთარი სტრატეგია აქვს, იცის, რომ მატჩში გამარჯვებისთვის ერთი მოგება და სამი ყაიმიც კმარა და დაზავებაზე უარს არ ამბობს, თუნდაც მეტოქე, ოსტატობის კანდიდატი იყოს.

მსგავსი სტრატეგია ახალგაზრდა მოჭადრაკეებს არა აქვთ, მათ უშეღავათო ბრძოლა აინტერესებთ.

ბოკუჩავამ ისეთი ძალით მიიტანა იერიში ნევიდნიჩის მეფის პოზიციაზე, რომ გაანადგურა მოლდაველი მოჭადრაკის დაცვითი ნაგებობები. ვოროტნიკოვმა ორი ეტლის შეწირვით დაამარცხა სოლოვიოვის მეფე. ახალგაზრდებს გამოცდილი კატალიმოვი აჰყვა: ორ ეტლში ორი კუ დაიტოვა და ტიმოშჩენკო საგონებელში ჩააგდო. ნოვოსიბირსკელმა ოსტატმა მხოლოდ ზუსტი დაცვით უვნებელყო სახიფათო მუქარა.

— ახალგაზრდებს მხარს რომ აუბამ, შენც მათი ტოლი გგონია თავი. მაგრამ ასაკს მაინც თავისი გააქვს, — გვითხრა შეჯიბრების ყველაზე ხნიერმა მონაწილემ, 60 წლის ვ. მიკენასმა, რომელიც ამას წინათ თბილისში სსრ კავშირის 41-ე ჩემპიონატის (პირველი ლიგა) მთავარი მსაჯი იყო. მიკენასმა ძველინდურ დაცვაში ჭაბუკ ფიოდოროვს ჯერ ხარისხი შესწირა, მერე — ეტლი, ოღონდ კი მეტოქის მეფე დაელაშქრა. მაგრამ ფიოდოროვმა აუღელვებლად მიიღო ყველა „ძღვენი" და იერიშიც ჩააქრო.

შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის 9 წარმომადგენელი მონაწილეობს. ეს ტურნირი ბევრი მონაწილისთვის კარგი სკოლა და საუცხოო წვრთნაა. ბუსლაევი თავიდანვე სადებიუტო სიძნელეებს წააწყდა, მაგრამ კარგად გაართვა მათ თავი. ზავი მას მეტოქემ შესთავაზა. საქართველოს თასის მფლობელმა ტუზოვსკიმ, რომელმაც ახლახან ოსტატის ნორმატივი შეასრულა, სიოევის მუქარა წარმატებით მოიგერია.

მონდომებით იბრძოდნენ ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატები ს. კიკილაშვილი, კ. ჩიგოგიძე, დ. ჯიდევანიშვილი და გ. ზაიჩიკი. კიკილაშვილმა ცაიტნოტში წააგო, ჩიგოგიძემ კი პაიკი დაკარგა და პოზიციას ვეღარ უშველა. ზაიჩიკმა უკეთეს მდგომარეობაში გადადო პარტია ოსტატ ლ. მასლოვთან (ტაშკენტი). საქართველოს ექს-ჩემპიონმა ზ. მიქაძემ დიდი ბრძოლა გაუმართა რიგელ ოსტატ ვ. კირპიჩნიკოვს, მაგრამ პარტია დაუმთავრებელი დარჩა, ისევე როგორც ჯიდევანიშვილ — თ. ჩერნიკოვის (გორკი) შეხვედრა.

გადადებული პარტიების დამთავრება. ლ. ალბურტი (ოდესა) — ა. ბუტნორიუსი (ვილნიუსი) 0:1, ვ. ცეშკოვსკი (ომსკი) — ო. პავლენკო (ბაქო) 1:0, თ. ჩერნიკოვი (გორკი) — დ. ჯიდევანიშვილი (თბილისი) 1:0, ზაიჩიკი — მასლოვი 1:0, ვ. კორენსკი (ტამბოვი) — ფ. ხიდოიატზადე (ბაქო) 1.0, მიქაძე — კირპიჩნიკოვი 0,5:0,5.

გუშინ დილით მიქაძემ მხოლოდ ოთხი სვლა გააკეთა და, როცა დარწმუნდა, რომ მოგების შანსი აღარ ჰქონდა, მეტოქეს დაუზავდა. მწვავე პოზიციაში ზაიჩიკი ლაზიერით და კუთი თავს დაესხა მასლოვის მეფეს და დაამარცხა იგი. ჯიდევანიშვილმა აქტიური თამაშით გააქარწყლა ჩერნიკოვის ინიციატივა, მაგრამ ცაიტნოტში გორკელმა ოსტატმა მაინც გაიმარჯვა.

თასის გათამაშების პირველ ეტაპზე გათავისუფლებული არიან გიპსლისი და გუფელდი, ვინაიდან მათი მეწყვილეები არ ჩამოვიდნენ.

თ. გიორგაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

• • •

სურათზე: თასის გათამაშების საერთო ხედი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

საბჭოთა ფეხბურთელები უცხოეთში

საბჭოთა ქვეყნის ფეხბურთელთა გუნდები ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებს ჩაატარებენ [illegible] საზღვარგარეთ.

ალმა-ათის „ქაირათი" ითამაშებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მინსკის „დინამო" — ბანგლადეშში, ყარაგანდის „შახტიორი" — ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კიშინიოვის „ნისტრუ" — საფრანგეთში, რიგის „დაუგავა" — ბულგარეთში, დონეცკის „შახტიორი" — ლიბიაში, ვოროშილოვგრადის „ზარია" — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ნოემბრის პირველ ნახევარში თბილისის დინამოელები ტურნეს გამართავენ თურქეთში.

ცსკა იტალიაში

მოსკოვის არმიელ ფეხბურთელთა გუნდი ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად იტალიაში იმყოფება. ცსკა რომში შეხვდა „რომას" და „ლაციოს" მოთამაშეთაგან შემდგარ ნაკრებს და გაიმარჯვა ანგარიშით 1:0.

საინტერესოა, რომ ამ მატჩში 22 იტალიელი ფეხბურთელი თამაშობდა, ვინაიდან გუნდში მატჩის მსვლელობაში 11 შეცვლა მოხდა.

დიდოსტატის სეანსი

ამ რამდენიმე დღის უკან თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოსკოველმა დიდოსტატმა ე. ვასიუკოვმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „სსრ კავშირის 41-ე საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ლიგის შედეგები" და დამსწრეთ უჩვენა თავისი პარტია ა. კუინჯისთან (მოსკოვი), რომელმაც გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზი დაიმსახურა, როგორც პირველი ლიგის საუკეთესო პარტიამ.

დასასრულს დიდოსტატმა ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა 21 დაფაზე. მან 18 პარტია მოიგო და 3 ყაიმით დაამთავრა. ყაიმს მიაღწიეს ბათუმის პედინსტიტუტის ფიზიკის კათედრის დოცენტმა ვ. ძნელაძემ, თბილისის ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერმა ა. ქსავერიევმა და თბილისის 41-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. გრიგორიადისმა.

გ. ფამილიანტი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ზაზანზე

რეგბი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 4 ნოემბერი. საქართველოს პირველობა. ფინალური შეხვედრები. დასაწყისი 14 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უ 07506